# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი



მწერალი ნიკო ლომოური (ავადმყოფობის გამო)



დაჭრ. ქართველ მეომარნი და მათი მომვლელნი წმ. ნინოს ლაზარეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 14

## შინაარსი:

1. **მეთაური**: ა ყველაფერი და არ ფერი; ბ) სინდისის მამხილებელი 2
2. **აკაკი** — ავსულთა საპასუხოდ (კრილოვის იგავ-არაკებიდან) „
3. **ივ. გომართელი** — კონსილიუმი 3
4. **გ. ქუჩიშვილი** — ხელზე მოსამსახურე 4
5. **სევდია** — ვინ სიპასუხებს: ჭეშმარიტად?! 5
6. **ვახ. კოტეტიშვილი** — შავი წიგნი (შ. არაგვისპირელის შემოქმედე^ა) 5
6. **ცვარ-ნამი** — გაზაფხულის მოლოდინში 7
8. **გ. მეგრელიშვილი** — მალე, სულ მალე გაზაფხულდება 8
9. **დ. თურდოსპირელი** — ა) უკრაინელი მწერლები, ბ) შემოდგომა სიყვარულისა (ეტიუდი; ნათარ. უკრაინულიდან) 9
10. **ანეტა კაპანაძე** — ხალხური შემოქმედება: გუთანი 11
11. **მიხ. კიაზოშვილი** — ჩვენი კომედიები „
12. **ა. ძაძამია** — სადღეგრძელო (სცენა) 12
13. **ს. ერთაწმინდელი** - მწარე სიცილი 13
14. **ანნა ვართაგაყა** - ქართველების „მატიცა“ (დასასრული) „
15. **ქართული სახიობა** 15
16. **წვრილი ამბები** „
**სურათები; განცხადებანი**

---

სახალხო სახლი

**ორშაბათს, 6 აპრილს**

ქართველ მსახიობთაგან **ვალერიან გუნიას** მეთაურობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული დრამა 5 მოქ. ერისთავისა

# საშობლო

**მონაწილეობენ**: ქ. ქ. ნ. დავითაშვილი, ელ. პ. შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ვ. გამყრელიძე, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ქივიძე, დ. მგალობლიშვილი, ა, შანშიაშვილი, ი. რომანიშვილი. ნ. ციციშვილი, პ. ფრანგიშვილი, ლ. თუხარელი, ი. მამფორია და სხ.

**დასაწყისი შუადღის 7½ საათზე**

ადგილების ფასი ორი შაურიდან მანათნახევრამდე ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრისკასაში

რეჟისორი **ვალ. გუნია**

ახალახან გაიხსნა

# აფთიაქი

პროვიზორის **ა. ს. ახვლედიანისა** (სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე), (5—2

---

## ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ვინც ჟურნალის ხელმოსაწერ კუთვნილ გადასახადს არ შემოიტანს, მომავალი კვირიდან ჟურნალი აღარ გაეგზავნება.

---

ზ. ჭიჭინაძის

## აჭარის შესახები წიგნები

1. **ოსმალეთის ყოფილი საქართველო** ფ. 50 კ.
2. **მუჰაჯირი ანუ დიდი გადასახლება ქართველ მაჰმადიანთა** ფ. 50 კ.
3. **ქართვ ლ მაჰმადიანთა სოფლები საქართველოში** ფ. 60 კ.

იყიდება „განთიადი“-ს კანტორაში გ. მ. მახარაძესთან (მიხეილის პრ. № 18) ფოსტით მისამართი: Тифлисъ. 2-я Тумановская, № 32. Зах. Чичинадзе — **ვინც ავტორისაგან — ზ. ჭიჭინაძისაგან — გაიწერს გასაგზავნი ფასი არ გადახდება.** (5—3)

---

სახალხო სახლი

**ოთხშაბათს 8 აპრილს**, თბილისის ქართ. დრამ. დასის მსახ. ამხ-ბის მიერ წარმოდგენილი იქნება:

# მ ე დ ე ა

ტრაღ. 5 მოქ. სუვოროვისა თარგ. დ. მესხისა

**მონაწილეობს მთელი დასი.**

ადგ. ფასი 1მ. 20 კ-დან 10 კ-მდე

დასაწყისი საღ. 7½ საათზე.

რეჟ. **მ. ქორელი**

# თეატრი და ცხოვრება

№ 14

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 14 | კვირა 5 აპრილი | 1915 წ.


4391

## 5 აპრილი

**ყველაფერი და არაფერი**

სწორედ ასეთი ზღაპარია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება—-ყველაფერი და არაფერი...

მოიგონეთ, რამდენი ფონდი გვაქვს დაარსებულ-დაწყებული და არც ერთი თავმოდგმული...

პირველხანად ფაციფუცით ვიწყებთ საქმეს, დავაფუძნებთ ამა თუ იმ ფონდს, ორიოდე მანათსაც შევსწირავთ, და.. გათავდა: ამითი ვიხდით ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს...

ამიტომაც არის, რომ არც ერთს ჩვენს დაწყებულ საქმეს სასურველი ბოლო არ მისცემია...

ქართული თეატრის დაწვამ თბილისში რომ დიდათ შეაფერხა ჩვენი სასცენო ხელოვნების აღორძინება-წინსვლა, ამის ნიშნებს დღეს უკვე ვხედავთ .. მართალია წარმოდგენები ხშირად იმართება, ერთს დღეს რამდენიმე ადგილას, ზოგჯერ ერთი და იგივე პიესაც იდგმის, მაგრამ ეს კიდევ ხელოვნების წინსვლას არ ამტკიცებს...

დასი უკვე დაიქსაქსა, დაიფანტა, შეიქმნა რამდენიმე ჯგუფი და თავთავის წარმოდგენას მართავს,—როგორ წარმოდგენას — ამას ნუღარ იკითხავთ, რადგან უბინაოსა და ლუკმა-პურის ძებნით შეპყრობილს აქტიორს უმთავრესად შემოსავალი აფიქრებს ..

ეს გარემოება კიდევ ერთხელ მოაგონებს ჩვენის თეატრის აღმშენებელ კომიტეტის წევრთ, რომ მხოლოდ საპატიო სახელით— **„ქართულ თეატრის აღმშენებელ კომიტეტის“ წევრის** სახელით—არ დაკმაყოფილდენ. .

იმის მაგიერ, რომ დღე-ღამ ზრუნავდენ, საიდანაც იქნება ფული შეკრიბონ, საჭირო თანხას თავი მოუყარონ, დღემდე აგენტურა ვერ მოუწყვიათ და ისიც-კი ვერ დაუწესებიათ, ყოველ ქართულ წარმოდგენაზე, სადაც უნდა გაიმართოს, რამდენიმე ნაწილი ქართული თეატრის აშენებელ თანხის გასაძლიერებლად გადაიდოს...

გვეტყვიან—ჯერ ომიანობა გათავდესო, ან სხვა გასაჭირი კარზე გვადგია, რა დროს თეატრიაო და სხვა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ომი ასე მალე გათავდეს, ეს ერთი და მეორეც—საერთაშორისო ომიანობა რომ გათავდეს კიდეც, ვინ იქნება თავდები, რომ ამას სხვა რაიმე არ მოჰყვება?

მანამდე გულხელდაკრებილნი ვისხდეთ?!

არა და არა!.. საჭიროა სათეატრო კომიტეტმა ყოველივე იღონოს და საქმე არ მიაძინოს, თორემ ასე ზოზინით თუ „ვიჩალიშეთ“, მთელი ათეული წლები გავა და თეატრის აშენებას ვერ ვ ღირსებით, ხოლო სანამ თეატრი აშენდება ჩვენი დასი და სასცენო ხელოვნება საფრთხეში ჩავარდება,— პავლეს მოსვლამდე პეტრეს ტყავი გასძვრება...

**სინდისის მამხილებელი**



**თავ. ნ რ. ერისთავი**

სხვა ნაირად არ შემიძლიან მოვიხსენიო ის ნათელი სახე-სულის ადამი ნი, რომელიც ამ ორმოცი დღის წინად მივაბარეთ დიდუბის გალავანშ სამარეს, და რომლის ქვრივმაც ამ დღეებში ასე საუცხოვოდ აღნიშნა თვისი მეუღლის ხსოვნა. .

ეს გახლავთ თავ ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავი...

თავ ს დროზე აღვნიშნეთ, რომ იგი იშვიათი თვისების ადამიანი იყო, ქართველთა ყოფა-ცხოვრებისა, მწერლობისა და კულტურულ-ეროვნულ წინმსვლელობის მუდმივი ფხიზელი მეთვალყურე..

მაგრამ იგი კიდევ უფრო მეტად ცნობილი იყო, ვითარცა სინიდისის მამხილებელი... შენიშნავდა რაიმე უკუღმართობას,—და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ხომ უმეტესად უკუღმართობისაგან შესდგება, — იგი, თავადი ნიკოლოზი, კალმით კი არა, პირისპირ, ცოცხალი სიტყვით ამხელდა მის მომავლინებელს .. ეს იცოდა და იცის ყოველმა მისმა ახლო მცნობმა, მაგრამ დღეს თუ კიდევ ერთხელ გავიხსენეთ, იმიტომ რომ ამ დღეებში მისმა ქვრივმა, კნ. ეკატერინემ, ფრიად დამახასიათებელ შეწირულებით აღნიშნა თვისი მეუღლის ნეტარი ხსენება:

ქ. შ. წ. კ. გ. საზ. შესწირა 10,000 მანათი სალიტერატურო ფონდის შესადგენად, საიდანაც უნდა შეიქმნას საგანგებო თანხა საუკეთესო ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად (ამ თანხიდან 2000 მან. მოხმარდება ნიკ. ორბელიანისა და ნ. ბარ თაშვილის თხზულებათა საუკეთესოდ გ მოცემას), 3,000 ქართულ თეატრის ასაგებ ფონდს, 500 მან. სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობის ოქმების გამოსაცემად.

ღირსეულმა მეუღლემ სასახელოდ აღბეჭდა ქართველთა მახსოვრობაში ღირსეული ქართველის ხსოვნა და ახლა ჩვენ საზოგადო-საკულტურო დაწესებულებათა მესვეურების ვალია ეს თანხა, განსაკუთრებით პირველი ნაწილი მისი, დიდის დაკვირვებით მოიხმარონ ხსენებულ მიზნის განსახორციელებლად, რითაც უმეტეს პატივს სცემენ ქართველთა სინდისის მამხილებლის ხსოვნას

# ავსულთა საპასუხოდ

**გამვლელები და ძაღლები**

(კრილოვის იგავ-არაკებიდან)

შარა გზაზე მიდიოდა
ერთად ორი მეგობარი,
იმ მთისა და ამ ბარისა
გაემართათ საუბარი

—

იმ დროს გოშიამ უეცრად
ღობეში თავი გამოჰყო,
შორიდამ გული მოიცა
და მგზავრებს ყეფა დაუწყო.

—

მის ხმაზე ასტყდნენ ძაღლები,
შეიქნა ყეფა უწყალო!
შეჩერდა ერთი გამვლელი
და მსხვილ ქვას ხელი მოავლო.

—

მეორემ უთხრა: „მაგითი
ნუ ჰფიქრობ მოიგეროო!
ერთს რჩევას მოგცემ, ძმობილო,
და სჯობს ის დაიჯეროო!

—

ვიცი მაგათი ბუნება
და კარგად ვიცნობ ყველასო,
ერთი თუ აგიყოლიეს,
აღარ მოგცემენ შველასო!

—

მაგრამ შენ თუ არ მიაქცევ
სრულიად ყურადღებასო,
კუდების ამოძუებით
შესწყვეტენ ყეფა-ღრენასო"

—

მართლადაც არ გადაედგათ
ჯერ კიდევ ათი მათ ბიჯი,
ძაღლებმაც ყეფა შესწყვიტეს,
თითქოს აჰკროდესთ მათ კრიჭი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




კ ა პ ი ტ ა ნ ი

**თავ. კონსტანტინე ლევანისძე გელოვანი**

ძმა განსვენებულ დეპუტატ ვ. გელოვანისა, რუს-იაპონელთა და ახლანდელ ომში ვაჟკაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოვებული ჯვა და სხვა ორდენებით. მარტში დასჭრეს თავსა და ხელში მძიმედ.

---

# კონსილიუმი

მიხეილ პეტრეს ძე თავის უწყებაში საუკეთესო მოხელედ ითვლებოდა.

— ჯამაგირის მუქთათ აღება მე არ მიყვარს, ხშირად იცოდა მან თქმა: მთავრობა თუ სინდისიერად მაძლევს ყოველ თვის ოც რიცხვში ჯამაგირს, მეც სინდისიერად უნდა შევასრულო ჩემი საქმე.

და მართლაც მიხეილ პეტრეს ძე თავის საქმეს სინდისიერად და მუყაითად ასრულებდა.

დილის რვა საათზე ის უსათუოდ ზეზე იყო. ცხრის ნახევარზე ჩა-ს სვამდა. ცხრა საათზე უკვე სამსახურში იყო. სამ საათზე სახლში ბრუნდებოდა, ოთხის ნახევარზე სადილსა სჭამდა. ნასადილევს ცოტას წაიძინებდა. შემდეგ გაზეთს ჰკითხულობდა

სხვა მოხელეები გაზეთს სამსახურის დროს ჰკითხულობდნენ. მიხეილ პეტრეს ძეს ეს არ მოსწონდა.

— ჩვენ ჯამაგირს საქმისათვის გვაძლევენ და არა გაზეთის კითხვისათვის, ამბობდა ხოლმე ის.

— დაიწყო თავისებურად მიხეილ პეტრეს ძემ! იტყოდნენ სიცილით მოხელეები.

საღამოს შვიდ საათზე ჩა-ს სვამდა, შემდეგ ცოლს „დურაჩკას“ ეთამაშებოდა, ან „კონჩინას“, ხან ქურდი კიკოლას; თერთმეტის ნახევარზე ვახშამსა სჭამდა და თერთმეტზე წვებოდა.

უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ეს წესი მიხეილ პეტრეს ძეს არ დაურღვევია. წინად ხანდიხან ის და მისი ცოლი ცირკში დადიოდნენ, ზოგჯერ თეატრშიაც. ახლა კი, რაკი მოხუცდა, აღარსად აღარ დადიოდა.

ვახშამი არ უხდებოდა, თვითონაც ატყობდა. ექიმმაც ბევრჯელ ურჩია, ვახშამს თავი უნდა დაანებოვო. ერთხელ მართლაც დაანება თავი ვახშამს; რამდენიმე დღე აღარ უჭამია, მეტი კი ვეღარ შესძლო: მისი ცხოვრების წესი დაირღვა, რაღაც გამოაკლდა.

მიხეილ პეტრეს ძემ შეაფურთხა ეშმაკს და დაიწყო ისევ ვახშმის ჭამა.

პენსია, რამდენი ხანია დაიმსახურა, მაგრამ სამსახურს მაინც თავს არ ანებებდა. ისე იყო სამსახურს მიჩვეული, რომ თავისი თავი, თავისი ცხოვრება უმისოდ ვერ წარმოედგინა.

შვილი მიხეილ პეტრეს ძეს სამი ჰყავდა: ორი ქალი და ერთი ვაჟი. ვაჟი მეტად ქარაფშუტა გამოდგა: ვერც სასწავლებელი გაათავა ვერსად, ვერც სამსახურში გაჩერდა.

ქალი ერთი ოცდაათი წლისა იყო, მეორე ოცდაშვიდისა. ორივეს საშინლად უნდოდა გათხოვება, მაგრამ წელიწადი წელიწადს მისდევდა და საქმარო კი არსად სჩანდა.

ასე მიდიოდა დრო.

ერთხელ, როცა ნასადილევს მიხეილ პეტრეს ძე მაგიდიდან წამოდგა, ცალი ფეხი აღარ აჰყვა.

— უჰ, ფეხი დამბრუშებია! წარმოსთქვა მან და ყვანჩალით წავიდა ლოგინისაკენ უცებ მუხლები ჩაეკეცა და ძირს დაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა დაგემართა ბეჩა! მიაძახა ცოლმა და მიეშველა.

მიხეილმა პირი დააღო, მაგრამ ლაპარაკი ველარ მოახერხა, ალუღლუღდა, თითით ენაზე ანიშნებდა და თვალებზე ცრემლები მოადგა.

მაშინათვე დააწვინეს ლოგინზე და მახლობელ ექიმთან კაცი აფრინეს.

ექიმი მალე მოვიდა, ავადმყოფს წვეთი დასცემიაო, აუხსნა ცოლს და კონსილიუმი დანიშნა ცოლისავე თხოვნით

სალამოზე მიხეილის გარეშემო ხუთმა ექიმმა მოიყარა თავი.

გასინჯეს კარგად, თვალებში ჩახედეს, ხელები და ფეხები ნემსებით დაუჩხვლიტეს ყურებში ჩასძახეს.

მიხეილ პეტრეს ძე გაშტერებული იწვა, ყურადღებას არავის არ აქცევდა, თვალებ ოდნავად დახუჭული ხრიალებდა და ხროტინობდა.

— ხროტინი მან ძილში სულ იცოდა. მსუქანი კაცია. აუხსნა ექიმებს მიხეილის ცოლმა.

— ძილში ხროტინობდა ხოლმე? ჰკითხა ერთმა ექიმმა, ისე რაღა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ის ხროტინი და ეს სხვა და სხვა იყო.

— დიაღ, დიაღ, სულ ხშირად იცოდა ხროტინი! სწრაფად მიუგო ქალმა, რომელიც ექიმის შეკითხვამ, ცოტა არ იყოს, გაამხნევა

ექიმები მეორე ოთახში გავიდნენ მოსალაპარაკებლად.

— მე შემიძლია დავესწრო? დაეკითხა ერთს მიხეილის ცოლი.

— ჯერ ჩვენ მოვილაპარაკებთ და მერე თქვენ დაგიძახებთ. უპასუხა ექიმმა.

(დასასრული იხ. მომავალ კვირის ნომერში)

# ხელზე მოსამსახურე

ჩვენი პატარა სოსო ძალიან ადრე დაობლდა...

ჯერ ისევ შვიდი-რვა წლისა იქნებოდა, როცა ის ხელზე მოსამსახურედ აიყვანა ერთმა ვაჭარმა,..

მშობლების სიკვდილით გულ-ჩათუთქული სხვისა მოჯამაგირეობამ უფრო დაჩაგრა, მხრები ჩამოაყრევინა...

იზრდებოდა ობლად და უალერსოდ...

— —

აი გაათავა ქურქლების რეცხვა და დაღონებული მიჯდა სამზარეულოს ერთ კუნჭულში მიყრილ თავის უსუფთაო ლოგინზე ..

მწარ-ტკბილმა ფიქრებმა გაიტაცეს პატარა ბიჭიკო...

მოაგონდა თავისი დედა, მამა...

მოაგონდა ყოველივე და თვალები ცრემლით აევსო..

ველარ გაუძლო ყელში მოწოლილ ბოღმას და აბღავლდა, აქვითინდა... ტირილით გულ-მოჯერებული სოსო დაოსებული სლუკუნით მიწვა ლოგინზე და მცირე ხნის შემდეგ ძილმა წაიღო...

— —

— შვილო სოსო!—ესმის სიზმარში მშობლის ნაზი, ტკბილი ხმა და გახარებული შესძახებს:

— დედიკო!.. დედა!.. სად ხარ, გენაცვალე, სადა!.. რად დაივიწყე შენი პატარა სოსო, რატომ აღარ მოჰხედე, ძუძუკებო, რატომ!.. ჩემო ძვირფასო დედიკო!.. აქ ნულარ დამარჩენ, გენაცვალე ნუ. მცემენ .. მატირებენ..

— ბიჭო, სოსო!—მოესმა მძინარე სოსოს ბატონის მკაცრი ხმა და კურდღლის ბაჭიასავით დაფეთიანებული ფეხზე წამოვარდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მღ. ხარლამპი ხუციშვილი**
ავსტრიის ფრონტზე, ქ. დუკლაში. ჯარს მუდამ წინ მიუძღვის უშიშრად.

## ვინ მიპასუხებს ჭეშმარიტად?!

ცის ტატნობი ვარდისფრად შეღება.

რიჟრაჟზე მიწისკენ დაეშო ნათლით შემოსილი ცის ასული, რათა მიწას აუწყოს, რომ აღსდგა ქრისტე, აღსდგა დათრგუნილი სიმართლე!

ქრისტე აღსდგა!!! გაისმა დედამიწის სივრცეზე ცის ასულის მომხიბლავი ხმა.

ჭეშ...მა..რიტად, წაიჩურჩულა სისხლით შეღებილმა მწვანე მდელომ!

ჭეშ...მა...რი...ტად! გაუბედავათ უპასუხა უსულო გვამებით მოფენილმა ბრძოლის ველმა.

ჭეშ...მა...რი..ტად! გაისისინა ოხერ მკვდრებში მთის ცელქმა ნიავმა!

ჭეშ. .მა...რი..ტად! ყრუდ წამოიგმინეს კაცის სისხლით შეღებ-ლმა ზღვის ტალღებმა!

ჭეშ...მა..რი.. ტად! სევდიანად გაიმეორეს გადამწვარ ქალაქ-სოფლების ნანგრევებმა.

ჭეშ...მა...რი. ტად, უპასუხა ცის ასულს სისხლის მორევში მცურავმა ადამიანმა და თან გაკვირვებული მიაშტერდა.

ასული შეკრთა!

მოიღრუბლა!

ამას რას ხედავს? ნუ თუ ასე ეგებება მიწა სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას?

ცის ასულის საოცნებო სახეს სევდის პირ-ბადე გადაეკრა, ვარდისფერ ღაწვზედ მშვენიერ თვალთაგან ორი მარგალიტი ჩამოუგორდა და მწარედ ამოიკვნესა:

უფალო! ვის მივმართო? ვინ მეტყვის რწმენით სავსე, გაბედულად: ჭეშმარიტად!!!

**სევდია**

# შავი წიგნი

(შ. არაგვისპირელის შემოქმედება)

მე 19 ს. ქართულ მწერლობაში, ერთი მთავარი ჰანგი გაისმის, და ამ ჰანგს ევლება სხვა ყოველივე. პოლიტიკურ პირობათა შოლტები ხელოვნების ტაძარში არ გვასვენებს, და იქაც გაისმის გოდება დაკარგულის გამო. ეს არის მიზეზი, რომ ამ ეროვნულმა დასჩრდილა ყველა სხვა მხარე, და ჩვენი მწერლობაც ცალმხრივად ამეტყველდა. „წარსულ კითხვებისთვის" ვიღას ეცალა. „წყეულ კითხვად" ეროვნული იყო გადაქცეული. ჩვენი ცხოვრება ერთგვარ უდანაშაულო საჯალათოდ გადაიქცა, სადაც ხურდავდებოდნენ დიდ-ნიჭიერნი. ჩვენი მოაზრე-ბრძენნი პირველ სიტყვაზევე შეჩერდნენ .. და. . საზოგადო ასპარეზს მიაშურეს. კაბინეტი ცარიელი რჩებოდა. მხატვარი, რომელსაც ნიჭი მსოფლიობას უქადდა, ეროვნულ არსებობის ბრძოლამ მიიტაცა და იგიც... პუბლიცისტობს. დღიურ წერილებზე სცდება. ამ პირობებში კი დაშრა სხვა წყაროები, ხოლო ჩვენს ცხოვრებას შავი დაღი დაასჩნდა. ფილოსოფიურ კითხვებზე მე-19-საუკ. ლაპარაკი არც მეცნიერულად, არც მხატვრულად არ გაისმოდა. ხან-გამოშვებით თუ აქა-იქ გაიელვებდნენ ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, თორემ ჩვენი ცხოვრება მათ ვერც კი ამჩნევდა. იგი მხოლოდ საზოგადოებრივ-ეკონომიური კითხვებით კმაყოფილდებოდა.

ამ მხრივ კი მხატვრულ მწერლობაში, პირველ სიტყვას შ. არაგვისპირელი ამბობს, რომელმაც მთავარი ყურადღება „წყეულ კითხვათა" გათვალისწინებას მიაპყრო, და ჩვენს მხატვრულ მწერლობაში ფილოსოფიურ მიმდინარეობას დაუდო სათავე. მან დაიწყო, და სხვებმაც არ დაიგვიანეს (დეკანოზიშვილი, ბარნოვი, ზურაბიშვილი), გაჩნდნენ და მკრთალ სურათს რამდენიმე ახალი ხაზი შეჰმატეს, გაალამაზეს. შ. არაგვისპირელმა თამამად ასწია ხომალდის აფრა და იქით მიაშურა, სადაც მოსჩანდა ნისლით მოცული „წყეულ კითხვათა" კლდე. მან ნაციონალურ სახით, საზოგადო შეიტანა თავის რეპერტუარში, და ადამიანის „შიშველი სული-გაიხადა საგნად რკვევის და ძიების. „შიშველ-

მა სულმა“ ადამიანისამ აღუძრა მას სურვილი მისი გაგების, და შ. არ—მაც ფსიხოლოგიურ ეტიუდების სახით გადმოგვცა დაკვირვება—განცდანი. დიახ, შ. არ—პირელი „შიშველ სულის“ მწერალია უმთავრესად. იგი ადამიანის გარეშემო ტრიალებს, მისი „ბედის წერა“ აღონებს და აწუხებს, მისი შინაგანი ვითარების გაგება სწყურია. პრობლემა პიროვნული, მისი უფლებები, ღირებულება, მისი დამოკიდებულება მსოფლიოსთან,—აი ის მწვავე კითხვები, რომელნიც გამოქანდაკებულან მწერლის წინაშე და ითხოვენ პასუხს. და მწერალიც ამაყად მიდის ამ კითხვებთან, უშიშრად სწევს იმ ფარდას, რომელიც შავად ჩამოშვებულა ჩვენი შემეცნების წინ, სასტიკი ხელით ფურცლავს „შავ წიგნს“ ადამიანის არსებობისას და... სწორედ აქ ტყდება მისი სული, სწორედ აქ არის წყარო ჩვენი მწერლის დემონიურობისა. მასში ხომ ღრმად არის გამჯდარი სურვილი ადამიანის ძლიერებისა, მისი ღირსებისა, მას ხომ სურს ადამიანის „ბუნების მეფედ“ ხილვა, იგი ხომ ეძებს ყველა ამას, და სწორედ ამ ძიებაში უტყდება სურვილის შტო. იგი უკვირდება, სინამდვილეს თვალს უმტერებს და.. რა დასკვნამდის მიდის? თურმე ადამიანის ცხოვრება, ეს მხოლოდ საპნის ბუშტია, ჩალაზე დაკიდული; თურმე ადამიანი, მხოლოდ აუარებელ წინააღმდეგობათა ხლართია; იგი ერთსა და იმავე დროს იმორჩილებს ხმელეთს, ზღვას, ჰაერს; მეინვარს უშიშრად ევლება, ოკეანეს ბობოქარ ტალღებზე ხომალდებს ასეირნებს და მთიდან მოსხლეტილი კენჭი კი სპობს, ჰკლავს „პაწია ჰაერის ბუშტი სისხლში, წყლის წვეთი ტვინში, და ადამიანი ისპობა, როგორც მანქანება იმსხვრევა, მისი აზრი ჰქრება, და ამ აზრთან ერთად ჰქრება ქვეყნიერობაც, ვით დამის სიზმარი გარიჟრაჟზე“. (პროფ. ამიელი). ჩვენი მწერალი უფრო შორს მიდის. თურმე ადამიანი უმაღლესი ღირებულება-კი არა ყოფილა, არამედ რაღაც ნაბოლარა, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე ილახება, მდაბლდება. თურმე ადამიანს ყველა დასცინის, და ამ ყველაში, უპირველესად ბუნება. თურმე ცხოვრების დუღილში ყოველ წუთს იქელება ადამიანის უფლება, და უხეშად ისვრება მისი „წმიდათაწმიდა“.., აგერ, საბრალო ადამიანი [illegible]ბის სიდიადით აღფრთოვანებული ამაყად იძახის: „ადამიანი მეფეა ბუნების. მისთვის არის ყოველივე დაბადებული; ყოველივე მისთვის არსებობსო“. („ბუნების მეფენი“)... მეფობს ადამიანი. ყველა მისი მორჩილია და რად არ უნდა იმეფოს?!. არე-მარე, ყველა სულდგმული მას ემორჩილება, მისთვის, მის სასიამოვნოდ არის დაბადებული და სულელი იქნება, თუ არ ისარგებლა და არ დიმორჩილა მთელი ბუნება“... „როგორც ადამიანს ჰსურს, ჰფიქრობს ადამიანი, ისე დაატრიალებს ბუნების ჩარხს: უნაყოფო ნიადაგს გაანაყოფიერებს და, სადაც ქვისა და რიყის მეტი არა იყო-რა, იქ მშვენივრად შემკულ მცენარეულობას მოიყვანს, მოაშენებს ცხოველთა და აამოძრავებს ნაკადულს; იქ, სადაც არწივებსაც უძნელდებათ მისვლა, ადამიანი გზას მიიტანს და აახმაურებს ბუნებას. სადაც სი მკვნიერეა, სადაც გული სიამით გაიშლება, იქ ადამიანს შეუძლიან სიკვდილი დაჰმალოს, იგი გაანადგუროს და გააოხროს, თუ კი მისი გონება მოითხოვს. მაშ გაუმარჯოს ადამიანს—ბუნების მეფესო“... მაგრამ... აგერ მსოფლიო მეფისტოფელმა კიდევ გაჰკრა კამარა, გესლიანი კისკისით გაარღვია ჰაერი და საბრალო ადამიანს გადმოსძახა: „ადამიანო, დასცხრი, დაწყნარდი! გეყოფა სიჯიუტე, კმარა“.. და... „შეცრივ გაირღვა ცა ცეცხლის ხაზით.“ დასჭყივლა ზევიდან და გრგვინვით განვლო კიდით კიდე“. ბუნების მეფენი შეკრთნენ, შეშინდნენ, ეცვალათ ფერი და გამძვინვარებულ სტიქიონისაგან თავის დასაფარად, ცახცახით მოსძებნეს ბინა“... „სადღაა თქვენი მედიდურობა, ბუნების მეფენო?“—კვლავ ჩამოსძახა მგესლავმა მეფისტოფელმა, და აქ ადამიანი მოკვდა, მოისპო.

ხედავთ რა ოსტატურად და რა სადად არის დაპირისპირებული ადამიანის სიძლიერე მის სისუსტესთან, სადაც გარეშე ძალას ჰრჩება ბრძოლის ველი. ხომ ნახეთ, როგორ შეილახა ადამიანის სიამაყე, მედიდურობა, როგორ ტალახში ამოისვარა მისი სურვილი—მისწრაფება, და იგი ურჩი, ხოლო დამონებული, მწერლის სახოთ-და დასტირის თავის ხვედრს... მაგრამ აქ კი არა თავდება შავი წიგნი, აქ იწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი კვლავ ძიების სურვილით შეპყრობილი, ეძიებს ამ წინააღმდეგობათა შერიგებას, ამოცანის გარკვევას; იმედი აქვს, რომ ცხოვრებას და მსოფლიოს მიუძებნის ლოგარითმებს, და აღმოაჩენს მის სარჩულს. და არამც თუ ეს ადამიანს ისიც კი სურს გაიგოს, თუ საიდანა აქვს მას თვით ეს მისწრაფება ყველაფრის გასაგებად, თუ რატომ არის იგი მკაცრი მეამბოხე, რატომ ვერ შერიგებია თავის ადამიანობას? რა უნდა? რას ეძებს? ვისთვის, ან რისთვის იტანჯვის, აზროვნობს, სცოცხლობს? საით მიჰქრის ასე თავ-აშვებულად მისი ოცნების იალქანი, რას უმზადებს მას „ზვირთი წუთისოფლის“. ერთი სიტყვით, რა არის თავი და ბოლო იმ „შავი წიგნის“, რომელშიაც დაფარულია, ფატალისტების ენით რომ ვსთქვა, ადამიანის „ბედის-წერა“?

**ვახტანგ კოტეტიშვილი**

# გაზაფხულის მოლოდინში

აქუჩუჩდა მთის კენწერო,
აიწურა ნისლი ხევით,
და მტრედისფერ ზღვაზე წერო
ტალღებს ამსხვრევს სუბუქ რხევით.
დაეწ ინდა დილას სახე
ჭარგალიტის ცრემლთა ფრქვევით,
და ღიმილით ნაძვისა ხე
მწვანე ტოტებს სწურავს ზევით.

გაზაფხული თვალთა მძივებს
აელვარებს, ველს შეკივა,
ზურმუხტ ბაგით ფერად სხივებს
ყვავილებათ შლის და სცვივა,
მაგრამ წყაროს მთის გიჟმაჟ შვილს
რა აღონებს, რაზე ჩივა,
ნუ თუ კიდევ ზამთრის ბორკილს
ჩემებრ მ...ნებს გული ტკივა?..

აქუჩუჩდა ტყე და ველი,
აიწურა ნისლი ხევით,
მე გაზაფხულს მაინც ველი,
ისევ ველი ცრემლთა ფრქვევით.

**ცვარნამი**




პოდპოლკოვნიკი

**ალექსანდრე ანდრონიკაშვილი**

ქუთაისის ქართველი კათოლიკე. ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის შემდეგ, სამხედრო სასწავლებელში მიიღო განათლება, უკანასკნელ ხანს მსახურებდა კავკასიის ერთ-ერთ პოლკში. მონაწილეობდა რუს-იაპონელთა ომში, ახლანდელ მსოფლიო ომში — ჯერ დასავლეთის ფრონტზე ავსტრიელებთან და ბოლოს გერმანელებთან. აქ დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა, ავსტრიელთ რამდენიმე ბატალიონი დაატყვევა, რის გამოც დააჯილდოვეს წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით და პოდპოლკოვნიკის წოდებით. დაჯილდოვებული იყო სხვა ნიშნებითაც. ავსტრიელებთან ომის დროს ფეხში დაიჭრა, დაბრუნდა სამშობლოში, განკურნების შემდეგ გერმანიის საზღვრისაკენ გასწია. ერთ დიდ ბრძოლაში დაიჭრა და როცა ამხანაგებს დაჭრილი ბრძოლის ველიდან გადმოჰქონდათ, მტრის ტყვია მოჰხვდა თავში და სიცოცხლეც მოუსპო, დროებით დაკრძალულ იქმნა იქავე. დარჩა ცოლი და შვილები. საუკეთესო მეომრად ითვლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დაჭრილნი ქართველნი მეომარნი და მათი მომვლელნი წმ. ნინოს ლაზარეთში:**

1 **რიგი: ზემოთ დგანან;** სულაძე, თაბაგარი, როგავა, ასათიანი; **2 რიგი:** გუნდიშვილი, წულაძე, თედიაშვილი, დავიდოვი, გადახაბაძე, თოიძე; **3 რიგი:** თეთრაძე, კაციტაძე, ლორთქიფანიძე, პოდპორ. ბასილაძე, პოდპორ. ზალდასტანიშვილი, პოდპორ. ჭყონია. **4 რიგი:** კალატოზიშვილი, ჯოხაძე, **წ**ინამძღვრიშვილი, **გ**ოლნოოპრ. უნტერ-ოფიც აბაშიძე. **მოწყალების დანი:** თავ ას. ჯავახიშვილი, სტერლიცკი, მოწყ.-ძმა ჯავრიშვილი, კასტელიანშა ბერეჟიანი, დიასახლისი ტატიშვილი, ლასხიშვილი თავ. ასული ანდრონიკაშვილი, ვაშაკიძე, თავ. ასული ამირაჯიბი, თავ. ასულ. ანდრონიკაშვილი, თავ. ასული ანდრონიკაშვილი. თავ. ასული ვაჩნაძე; შუაში ზის გამგე ექიმი ლაზარეთისა მახვილაძე, ფერშალი ქალი კაცელმახერი, მოსამსახურე კერესელიძე. და სხ.

---

# მალე, სულ მალე გაზაფხულდება

(ძღვნად ჩემს მეგობარს ჯვებეს)

მალე, სულ მალე, გაზაფხულდება, ბაღს ესტუმრება ისევ ბულბული
და მის გალობას მთვარიან ღამეს მოისმენს ვარდი სულგანაბული.
ეს ყველამ იცის, ნაზ ვარდისადმი ბულბულის ტრფობა როგორც ახლდება,
მაგრამ უფერულს ჩვენს ცხოვრებაში ასე არ არის, ასე არ ხდება...
მშვენიერ ქალზე ოცნებობს ვაჟი.. აი, მან ჰპოვა ოცნება იგი
და ჰსურს ძლიერ ცეცხლს მიეცეს სულ მთლად, დაიწვეს, გახდეს ტრფობის ტარიგი,
ქალს კი არ ესმის ვაჟის ღაღადი, არ ესმის ვაჟის თხოვნა, ვედრება,
და უნუგეშო ჭაბუკის გლოვას ბულბულის კვნესა ვით შეედრება?
მაგრამ, თუ ქალმა გადაუშალა, გაუხსნა გული ვაჟს შეყვარებულს,
ნაღველი უფრო უასკეცდება, ისეც სევდიანს და დამწუხრებულს.
გრძნობს, რომ მოსტყუვდა ვერ ნახა ქალში ძლიერი სული, სპეტაკი გრძნობა,
სძაგს, ეზიზღება ბოროტ გველივით მისი სიტურფე და გარეგნობა.
დამარცხებული შორდება იმას, ვისაც ეტრფოდა, ვინაც უყვარდა,
არაფერი სწამს უკვე ამ ქვეყნად, სულს ეფარება კაეშნის ფარდა...
ნეტავი ბულბულს! ნეტავი ვარდსა! იმათ ორთავეს სწვავს ერთი ალი,
ხოლო ჭაბუკის მხურვალე გრძნობამ სად ჰპოვოს, სადა, ნამდვილი ქალი?

გ. მეგრელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაინელი მწერლები



**მგოსანი ო. ოლესი**

ოლესი უკრაინელი ახალგაზრდა მგოსანია და წარმტაცს აგორდს აძლევს უკრაინულს ნორჩს პოეზიას.

ოლესი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 1903 წ. როგორც ვიცით, ეს ის დრო იყო, როდესაც სრულიად რუსეთის შემოქმედებითი ძალები დონეს იკრეფდენ და ემზადებოდენ მონობის განუჭვრეტელი ჯანღის გასაფანტავად.

ოლესის ჩანგიც, როგორც ჭეშმარიტი მგოსანის,—ამ გრძნობის გამომხატველი ჰხდება... მისს სიმებზე საუცხოვოდ წკრიალებს სიმხნევისა და სიმამაცის ჰანგები.

ოლესი საზოგადოებასთან ერთად წინასწარმეტყველურის სიძლიერით შესტრფის და უგალობს იმ დიადს, ლამაზს ქვეყანას, რომელიც უნდა გაშენებულიყო ძველს ნანგრევებზე შარავანდედით აციაგებული.

მაგრამ სუსტი აღმოჩნდა პირველი შეტევა: დამარცხდენ უთანასწორო ბრძოლაში თავისუფლების ტრფიალნი და გამეფდა რეაქცია... საზოგადოებას ეუფლა უიმედობა და ოლესის ჩანგიც აჟღერდა სასოწარკვეთილებით.

მან ისეთის სიძლიერით იწყო გოდება იმედის დანთქმასა და უსამართლობა-ძალმომრეობის გალის ამუშავებაზე, რომ უკრაინულს მწერლობაში, როგორც მგოდებელს, ტ. შევჩენკოს გარდა, ვერავინ დაეტოლება.

ოლესის ის ლექსები, რომელნიც გამოჰხატავენ ამ ჩაწყვდიადებულ დროის განცდილ გრძნობებს—ქართულად სთარგმნა მგოსანმა იასამანმა

ოლესსაც უთარგმნია იასამანის რამდენიმე ლექსი. სიამოვნებას და სიამაყე ვიგრძენი, როდესაც ერთმა უკრაინელმა სტუდენტმა ზეპირად მითხრა იასამანის ლექსი (უკრაინულად ნათარგმნები).

მესიამოვნა მით უფრო, რომ იასამანი რადგან, ჩემგან გაუგებარი, მიზეზის გამო ჩვენში სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული.

ოლესს ლექსებს გარდა აქვს დრამატიული ნაწარმოებნიც. ეს ეტიუდი—„შემოდგომა სიყვარულისა,—რომელიც „თეატრი და ცხოვრება“-ში იბეჭდება, პირველად შარშან დაიდგა სცენაზე. საზოგადოებას ძალიან მოეწონა. უკვე რეპერტუარშია შეტანილი.

**დ. თურდოსპირელი**

## შემოდგომა სიყვარულისა

(ეტიუდი ო. ოლესისა. ნათარგმანები უკრაინულიდან)

**ტყის მცველი დედაბერი.**
**შეძლებული ახალგაზდა ქალი.** } სეფე ქალი
**შეძლებული ვაჟ.** } ბატონიშვილი

(დიდი, თითქმის ცარიელი ოთახი. ბუხარი. საწოლი. შემოდგომის ღამეა. ისმის ქარის მძაფრი ზუზუნი, სარკმლის ახლოს ნაძვები ირხევიან ისე, თითქოს ჰსურდეთ მისწვდნენ მას და მიეტმასნონ.

**დედაბერი.** გამაცვიფრეთ, ბატონის ასულო, გამაცვიფრეთ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთს ღრმა შემოდგომას ამ ტყეში მობრძანდებოდით. თქვენ ასე გვიან არასოდეს მობრძანებულხართ. ხეებმა დიდი ხანია რაც გაიცარცვეს უკანასკნელი ფოთლები და სდგანან გაყინულნი, მიმკვდარებულნი.

მხოლოდ ნაძვნი არიან მწვანეთ, როგორც მწვანოვანობდნენ ხოლმე მუდამ და მწუხარედ არხევენ თავებს. ეჰ, როგორ არ ჩაჰქინდრონ თავი, როგორ არ იჯავრონ, თუ კი ამდენი უცხოვრიათ, ამდენი უნახავთ. სიამოვნებით დაიხოცებოდნენ, მაგრამ სიკვდილი არ იცლის მათთვის. კიდევ დიდხანს ვიცოცხლებთ, ბებერო ნაძვებო, და დიდხანს ვაკანტურებთ დაჩაჩანაკებულ თავებს. (ისმის ქარის ზუზუნი) გესმით როგორ ჰზუზუნებს, როგორა სჯავრობს? კვლავ შემობრუნდა აქეთ წყეული ქარი, როგორც მოიჭრებოდა ხოლმე მუდამ შემოდგომისას და დაიწყო მოხეთქება და ღმუილი მშიერი მხეცივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ქარს) გაშმაგებულო! რა მომაბეზრე თავი მო ქმითა. აბა, რა გსურს ჩემგან. გაიყინე? გცივა? არ შემოგიშვებ ქოხში!...

ის მუდამ ღმუის, როდესაც კი სევდა მაქვს გულს მოწოლილი, მუდამ მიწინასწარმეტყველებს რაიმე უბედურებას. ზაფხულშიც ასე ჰღმუოდა, დილით გაველ თუ არა, დავინახე. რომ ვიღაცა ნორჩი ფიჭვი მოექრა. (ქარს) კარგი, იყუჩე, შე წყეულო. გეყოფა თვალ-ბედითი ჩხავილი.

ჩვენი პატარა ქალბატონი მობრძანდა! მოფრინდა ჩვენი მოჭიკჭიკე ჩიტუნია უმღერე, უჟღურტულე მას მხიარულად, უჟღურტულე, რომ გადაიყაროს ნისლი მისმა სახემ, რომ ტურფა მზესავით იწყოს სიცილი

ვიშ, ვიშ, დამიდგეს თვალები, როგორ მობრძანდით ასეთს ღრმა შემოდგომას.

**ახალგაზდა ქალი** სტუმრად გეწვიე, ძიძავ.. ტყე მომენატრა. მომწყურდა სუფთა მალხინებელი ნიავის შესუნთქვა! (პაუზა) ძიძავ! დამიგდე ყური, ძიძავ, ვინიცობაა მოვიდეს ის ყმაწვილი, ზაფხულში რომ მოდიოდა ხოლმე... აი თოფიანი—მონადირე. არ გახსოვს?

**დედაბერი** ხო! მომაგონდა, მომაგონდა?

**ახ. ქალი** თუ მოვიდეს ის და მიკითხოს, უთხარით, რომ აქ არა ვარ, არც წინეთ ვყოფილვარ. ოთახები ხომ დაკეტილია.

**დედაბ** დიახ, დიახ, დარაზულია.

**ახ ქალი** არავინ უნდა იცოდეს, რომ აქა ვარ, არავინ. (პაუზა)

**დედაბ** მე გამოველი, მინდოდა ქარისთვის პირი მეცვლევინებინა, მაგრამ ვერ მოვასწარი: თქვენ მობრძანდით... ეხლა ილმუვლებს. . არ დაგვაძინებს... ოო, რა არის მისთვის კარები, გალავანი? თუ მოიწადინა, გადმოფრინდება მთებზე, ზღვაზე.

**ახ. ქალი** არავინ უნდა იცოდეს, რომ აქა ვარ.

**დედაბ.** გაგცრეცია პაწაწა სახე, თვალები ჩაგცვივნია.

**ახ. ქალი** მთელი ღამე ვმგზავრობდი, არა მძინებია... ახლა დავწვები, ძიძავ, დავიძინებ და ყველაფერი უკეთ იქნება.

**დედაბ.** ოხ, ქალბატონო, აქ ვერ დაიძინებთ! აქ მოფრინდება ქარი და იწყებს ბღლვნას ფანჯარაზე და ილმუვლებს მშიერი მხეცივით მას ხომ ვერსად დაემალები, ის მიწაშიაც გიპოვნის და ჩაგიძვრება სულში.

**ქალი** კმარა, ძიძავ, კმარა! მე მოვიქანცე და მინდა დავისვენო. ნუ მაშინებთ: ისედაც მეშინიან. ვაი, მცივა! შეუკეთეთ შეშა ბუხარში.

**დედაბ**. არა ხურდება ხოლმე ბუხარი, იმისთვის ცივა... (შეუკეთებს შეშას)

**ახ. ქალი** მგონი ვიღაცა შემოვიდა დერეფანში, ძიძავ! არავის ელი?

**დედაბ.** ვინ უნდა მოვიდეს ასეთს ღამეში, ასეთს ავდარში... და თუ მოვა—მოვიდეს.

(ისმის ქარის ღმუილი, თითქოს ვიღაცამ დააკაკუნა)

**ქალი** ვინაა მანდა?!.

**დედაბ** ოჰ, კვლავ ალმუვლდა და მოაწვა კარებს. ცოფიანობს წყეული!

(იღება კარი და შემოდის ყმაწვილი, ზაფხულში რომ მოდიოდა ხოლმე)

**ქალი** აჰ... (იკივლებს, იფარებს სახეს ხელებით და თავით ეცემა მუხლებზე)

**დედა.** მგელი ხსენებაზედაო. ქარისას ვლაპარაკობდით და ბატონი კი მობრძანდა.

**ვაჟი** (ნაძალადევი მხიარულებით) არ მელოდით, დიდედო?

**დედაბ**. როგორ არა, გელოდდით! ჰხედავთ როგორ გავმხიარულდით. (გადის)

**ვაჟ.** (უახლოვდება ქალს) მოველ... არ შემეძლო მოუსვლელობა... მთებს დავამსხვრევდი, ზღვას გამოვცურავდი! .

**ქალი** წადი... წადი. . წადი... დამეხსენ.

**ვაჟი** აქედან ტყეში გზას ველარ გავიგნებ... ღამემ ყველა გზები დაჰმალა...

**ქალი** ახ!.. წადი...

**ვაჟი** მხოლოდ მკვდარი შეუძლიანთ გამიყვანონ ამ ოთახიდან .. მხოლოდ მკვდარი... (ეცემა მის წინ მუხლებზე)

**ქალი** ახ, ღმერთო... რა გსურთ ჩემგან?.. ჩემი ტანჯვა?..

**ვაჟი** მხოლოდ გხედავდე, მხოლოდ ვისმენდე შენს ხმას..

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქალი** ხომ გთხოვეთ დაგვევიწყებინეთ, მე ხომ თითქმის აღარც კი ვარსებობ.

**ვაჟი** ამომჭერი გული, მეხსიერება და მაშინ დაგივიწყებ.

**ქალი** (უყურებს ვაჟს) რა გსურთ ჩემგან?

**ვაჟი** მხოლოდ გხედავდეთ, მხოლოდ ვისმენდე თქვენს ხმას.

**ქალი** რისთვის! რისთვის მოხდეს ყველაფერი ეს, თუ კი ჩვენ შორის უფსკრულია.

**ვ`ჟი** მიყვარხარ...

**ქალი** შენ სხვაც გიყვარს... თქვენ სხვაც გიყვართ.. სხვისას ვერ მივიღებ .. არ შემიძლიან . ასე გითხარით, ამასავე გეუბნებით..

**ვაჟი** მიყვარხარ.

**ქალი** ნუ მტანჯავ... განა არ მეყო ესოდენი ტანჯვა?

**ვაჟი** მე ორჯერ მეტად ვიტანჯები.

(დასასრული მომავალ კვირის ნომერში)

# ხალხური შემოქმედება

## გ უ თ ა ნ ი

(ერთაწმინდელ სოლომონ ჯავრიაშვილისგან გაგონილი და ანეტა კაპანაძის მიერ ჩაწერილი)

გუთანო, ჩემო გუთანო,
გათლილო თეთრის ხისაო,
მაგრა ჩაუჯექ მიწასა,
დაგლოცავს მადლი ღვთისაო!
ოროველაო ოჰო ჰოო.

—

გადავხნათ მწვანე მინდვრები,
გამოვუჩინოთ გულიო,
ყანებად გარდავაქციოთ
ეკლებით დაფარულიო...
ოროველაო ოჰო ჰოო.

—

გლიჯე ერთგულად ჯაგმაგი,
ძირი უბრუნე ყელსაო,
არც მე მოგიწყენ, იცოდე,
დაგძახებ ოროველსაო ..
ოროველაო, ოჰო ჰოო.

ვერ შეგვაშინებს ჩვენ სიცხე,
ვერც წვიმა ქარიშხალიო,
მიწის ბრძოლელსა არ ჰშვენის,
რომ გული ჰქონდეს მხდალიო,
ოროველაო, ოჰო ჰოო.

—

ბელტო ბელტოზე გადაწექ,
გამოჩნდი ქვა და რიყეი:
ირმავ, ნიკორას გაუწი,
ლაბავ, ყაჩარას მიჰყეო. .
ოროველაო, ოჰო ჰოო

—

სახრე გადაჰკარ მერცხალას
გიგავ, ცოტა ცუდლუტია,
გუთანი არ დაგვიცაროს,
საქმე არ გვაყოს ცუდია,
ოროველაო, ოჰო ჰოო.

დავთესოთ პური, სიმინდი,
ღმერთი გვიჩლავს და კარგულსო
ერთსა ასად ჩაგვაბარებს,
ჩვენი ოფლით დანამულსო,
ოროველაო, ოჰო ჰოო

—

გულს იმითი ნუ გავიტეხთ,
რომ სხვისთვის ვხნამთ და ვთებიჭობა კიდეც ის არის, (სავთ,
რომ ქვეყანას ჩვენა ვკვებავთ!
ოროველაო, ოჰო ჰოო.

—

მაშ გასწიე ჩემო გუთანო,
გათლილო თეთრის ხისაო,
გუთნის დედა ხელს შეგიწყობს,
დაგლოცავს მადლი ღვთისაო! .
ოროველაო, ოჰო ჰოო.

# ჩვენი კომედიები

ქართული დრამატურგიის სიღარიბე ყველასათვის ცხადია. და ეს სიღარიბე მეტ ნაწილად კომედიების საღაროს ემჩნევა ეს არც გასაკვირველია, რადგან ქართველი ხალხი გრძნობიერია და უფრო დრამის დაწერასა და განსახიერებას ახერხებს, ვიდრე კომედიისას...

გვაქვს რამდენიმე „თვალსაჩინო კომედია“, მაგრამ საკითხავია: ესენი ნამდვილი კომედიებია, თუ არა?..

როგორც ვიცით, კომედია ისეთი დრამატიული ნაწარმოებია, რომელშიაც საზოგადოებრივი ან კერძო ცხოვრების დახასიათება სასაცილო, სატირიულ ჩარჩოში ჩასმული. ჩვენი კომედიები კი ამ განმარტებას იმდენად შეესაბამება, რავდენადაც კომედიის მნიშვნელობა მომქმედ პირთა სახუმარო სიტყვებში გამოიხატება. ავიღოთ მაგალითად: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“, „ციმბირელი“, „გაყრა“, „დავა“, „შეშლილია“, „მზის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელება საქართველოში“ და მრავალნი სხვანი, რომლებიც ქართულ კომედიის შედევრებად ითვლებიან...

მაგრამ რა არის მათში კომედიური?!.

იქნებ ის, რომ ურცხვ მებატონეს, თავისი ყმის მოსაკლავად, საბრალო, ობოლი ქალი დანიშნულისათვის წაურთმევია, ქალის მამისათვის უცემნია და ისედაც ღარიბ ოჯახისათვის სიმწრის ფიალა მიუწოდებია?!. იქნება ის, რომ მლიქვნელობით ადსავე ადამიანს პატიოსანი კაცი ვერაგულად მახეში გაუბამს, თავის მშობლიურ კერისათვის მოუგლეჯია და ციმბირში გადაუსახლებია?!. და ეს გულის მომწყვლელი ფაქტები, სრულიად შეუწყნარებლად, სახუმარო სიტყვებით არიან მივარაყებულნი:

„ერთი შენი თავი შემწვარი მომცა“, „ისეთი დაგადო, რომ სამჯერ მიჰკამალაყი გადაიარო“, „ქართულად დავთრეთ და რუსულად ვიტირეთ“, „შენი ფათრეთი დაიქცა“ და, ვინ იცის, ქართული კომედიების „ღირსებას“ კიდევ რა „მარგალიტები“ არ შეადგენს.

აბა მოაშორეთ ქართულ კომედიებს მრავალი ამ გვარი სიტყვები, აბა სთარგმნეთ ეს. ნაწარმოებნი სხვა ენაზე, თუ თავის ფერს სრულიად არ დაჰკარგავენ, თუ კომედიის სფეროში ყოვლად უღირს ქმნილებად არ გეჩვენებიან. მაგრამ თვალი გადაავლეთ მოლიერის ან გოგოლის კომედიებს, ჩაიხედეთ თუნდ „ტარტიუფის“ და „რევიზორის“ შინაარსის სიღრმეში, სთარგმნეთ ისინი რომელ ენაზედაც გნებავთ, თუ მარად კომედიის ღირსებით აღჭურვილნი, ავტორის უკვდავ მყოფელნი არ იყვნენ!.. ამ ნაწარმოებებში კომედიას თვით ცხოვრების ფორმა, ხალხთა გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა წარმოადგენს. თქვენ გეცინებათ განა იმიტომ, რომ ვინმე რამე სახუმარო სიტყვას ამბობს, არამედ იმიტომ, რომ თქვენ თვალებს, მომქმედ პირთა სახეში სერიოზული, ხოლო შემეცნებით სასაცილო მოქმედება ეჩვენება. სწორედ ეს გარემოებანია კომედიის ღირსება, ამ მხრივ, ჩვენ კომედიათაგან, მიზანს სავსებით მხოლოდ გ. ერისთავის „გაყრა“ „დავა“, „შეშლილი“ და ა. ცაგარლის „ხანუმა“ თუ აღწევენ; სხვანი კი (სახუმარო სიტყვების გამოკლების შემდეგ) მხოლოდ დრა ის ფაბულას წარმოადგენენ. „გაყრა“ და „ხანუმას“ წაკითხვის ან მოს ენის დროს, თქვენ თითქოს შეცოდების კილოთი იცინით, რადგან ეს სიცილი სატირულ ყალიბში ჩამოსხმული, ხოლო ადამიანთა გამასწორებელ-განმვითარებელ ფაქტებზეა აღმოცენებული... ჩვენი დრამატურგნი კი სწორედ ამ გარემოებას გვერდს უვლიან და ყველა დრამის წერას გაუტაცნია.

დრამის საჭიროებას ვერავინ უარჰყოფს, მაგრამ, როდესაც დრამატურგნი ხალხის ყოფაარსებობას ღირსეულ, ხალხის გამათვითცნობიერებელ კომედიებში გამოასაშკარავებენ, მაშინ ქართული ხელოვნება მაგარ ფესვებს გაიდგამს და ჩვენთვისაც გამართლდება შექსპირის სამართლიანი სიტყვები: „თეატრის აზრი უწინაც ეს ყოფილა და დღესაც ეს არის, რომ ბუნებას სარკედ გაუხდეს, სათნოებას თავის სახის მეტყველობა აჩვენოს, ბიწიერებას — თავისი უმზგავსოება და ხალხს — თავისი ვითარება და ნაკვალევი“ ..

**მიხ. კიაზოშვილი**

# სადღეგრძელო

(სცენა)

რახან ამ „კამპანიის“ თამადობა მომანდეთ — გთხოვთ ყური დამიგდოთ.

ამ ჭიქით ვადღეგრძელებ ნაძალადევის „ბარიშნებს“. ვისურვებ მაგენის კეთილ ცხოვრებას და ვსთხოვ ქრისტეს, საარშიყო აზრები შეუცვალოს, რომ „გარადსკოი უპრავას ლიშნი რასხოდი“ არ მისცენ და მაგენის ფეხით ჩაბრეგილი ტროტუარები წელიწადში ექვსჯერ არ აკეთონ... ვთხოვ კიდო მამა ქრისტეს: ყოველ შაბათ-კვირაობით ლატარიები არ ამართვინოს. რომ შვიდ მაურიანი ბეჭდები და საათები ათ-თორმეტ მანეთათ არ „აპრადალონ“. შვლიჭე შენი ხმალი თავში, ამუდე აგენის ფიქრი და მის მაგიერ სადამოს კურსებზე სიარული ჩუუტენე შით.

ამ მიორე ჭიქით ვადღეგრძელებ კიდო ამ მუხუროს ყმაწვილ-კაცებს: ვსთხოვ ქრისტეს,

აგენთა—შორის ცხრა-ბაქარა-ხლუსტისტებს სულ ბითურები გამუყვანოს, რომ შეძულდეს თამაში და მის მაგიერათ კოპერატივზე იზრუნონ

გთხოვთ კიდო ერთ სადღეგრძელოს. მე, რაც ნაძალადევის თეატრის სცენის მოყვარემ, არ შემიძლია იქაური გამგეობის სადღეგრძელო გამოვტოო. გაუმარჯოს... აცოცხლოს ქრისტემ. მისთანა ენერგია გამოაჩენიოს ღმერთმა მაგენს თავიანთ კერძო საქმეებში, რავალიც იქინე გამეიჩანეს. მისთანა სიწყნარე სიმშვიდე ლიწინ-ლიწინი-ბრიგინ-ბრიგინი მაგენის ოჯახს, რავალიც წარმოდგენის ღამეს იქინე არის.

უკაცრავათ კი ვარ, ნაძალადევის სცენის მოყვარების სადღეგრძელოს ვტიებ. ვტიებ იმიტომ, რომ მაგენს კარტის თამაშში ჯერ „ედინიცები“ აქვთ და როცა „პატები“ ექნებათ, მაშინ გაბითქინებულ „რეჩს“ ვიტყვი.

**ა. ძაძამია**

# მწარე სიცილი...

(ძღვნად გ. ქუჩიშვილს)

ბედ-კრულ ქვეყნის მოყვარე, შვილი ულვთოდ დევნილი,
ტიალ სოფლის შავ ველზე უსავანოდ შთენილი:
მსოფლიოს ყოველ კუთხეს დავალ ვითარც აჩრდილი,
და მფარველად დამყვება სევდა ძაძა-მოსილი
კაეშანით მოცული, ეულ სულით ლტოლვილი,
ახალ-გაზრდულ ზღვის ტალღებს მივენდე გულ-გაშლილი.
გადავლახე წყურვილი, დავთრგუნევი შიმშილი,—
მეგობარი მინდოდა, მქონდა სურვილი ტკბილი:
საიდუმლო ქნარის სიმთ ჩამოვკარ—ხმა-წყობილი,
შორს გაისმა .. ვედრება, წმიდა გრძნობის ძახილი!
..მაგრამ არვინ მალირსა: პასუხი, არც ღიმილი,
გადამირაზეს კარი... მიჩვენეს გზა-ვრდომილი
მე სიყვარული ვუძღვენ, მდელო ტურფად მკობილი,
მათ-კა სამაგიეროთ: შური გესლით აღვსილი!
სიცოცხლის მაძიებელს, დამხვდა ყველგან სიკვდილი,
და ცხოვრების სამარე. . კუბო .. მწარე სიცილი ..

**ს. ერთაწმინდელი**

# ქართველების „მატიცა“

ჩეხელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არის საერთო საეროვნო დაწესებულება და ყოველსავე პარტიულ ინტერესს გარეშე სდგას. კონსერვატორი ძველი — ჩეხი, ლიბერალი ახალი-ჩეხი, კლერიკალი, სოციალდემოკრატი, ყველანი ერთნაირად და თანხმად თავს დასტრიალებენ და იღწვიან თავგანსაცემელ „მატიცა“ სათვის. ის არ იფიქროთ, რომ მატიცას მარტო ინტელიგენცია ასულდგმულებს. ამ დაწესებულების ინტერესებს ემსახურება ყოველი ჩეხი, რა წოდებისაც უნდა ეკუთვნოდეს. რა საქმესაც უნდა ადგეს მატიცასათვის ფულებს აგროვებენ და სწირავენ მუშები, ხელოსნები და გლეხები. თითქმის ყველაზე უფრო ეს უკანასკნელნი სწირავენ.*)

*, არ უნდა დაივიწყოთ-კი, რომ ჩეხელი გლეხი კულტურის მხრივ მაღლა სდგას, თითქმის ყველამ იცის წერა-კითხვა, ყველა იწერს გაზეთსა და ჟურნალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოდამ გადახვეწილი ჩეხელიც არ ივიწყებს „მატიცას". ყოველ წლობით დებულობს „მატიცა" მათგან რამოდენსამე ათასს გულდენს: იღებს ამერიკიდან, ავსტრალიიდამ, რუსეთიდამ, ლონდონიდამ, ვენიდამ და სხვა ადგილებიდამ, სადა-კი სამშობლოდამ გასული ჩეხელები სცხოვრობენ...

იმისთანა ჩეხელი არ არის, რომელსაც „მატიცასათვის" არა შეეწიროს-რა. იმისთანა ჩეხელი არ მოიპოვება, იმისთანა ჩეხური დაწესებულება არ არის, რომელიც თავისს წმინდა მოვალეობად არა ჰრაცხდეს ამ საზოგადოების შემწეობას. „მატიცას" შემწეობას უჩენს პრაგის პარლამენტი და ყველა ქალაქის საბჭო, სადაც კი უმეტესი ხმოსანია ჩეხელია, „მატიცას" უგზავნის ფულს ყველა ჩეხელი ბანკი, შემნახველ-გამსესხებელი კასსები და სხვა დაწესებულებანი. ისეთი საზოგადო და კერძო ოჯახის დღესასწაული არ იქნება გადახდილი, რომ „მატიცას" არა ერგოს რა.

ჩეხელები ყოველივე შემთხვევით სარგებლობენ, რომ „საზოგადოების" თანხა გააძლიერონ, ყოველი მიტინგისა და საზოგადო კრების დროს ერთი ვინმე დამსწრეთაგანი ჩამოივლის და „მატიცას" სასარგებლოდ ფულს მოითხოვს

ყოველ კრების გათავების შემდეგ კარებთან დაგხვდებათ ერთი ვ ნმე, რომელიც გამოგიწევთ ქუდს და ამ სიტყვებით მოგმართავთ: — „მატიცასათვისაო".

ბალისა და თავ-შესაქცევების დროს ქალები ჰკრებენ შეწირულებას „საზოგადოებისათვის".

შებრძანდით სადმე რესტორანში და აი რას დაინახავთ. ერთ-ერთს მაგიდას შემოსხდომია რამდენიმე პირი. ერთი მათგანი წამოდგება და სიგარას ასწევს მაღლა:

— ვჰყიდი სიგარას „მატიცას" სასარგებლოდ! ორი კრეიცერი ღირს, ვინ გაიღებს მეტს? ამ დროს მთელს რესტორანში სიჩუმე ჩამოვარდება და ყოვლის კუთხიდამ გაისმის:

— სამი!

— ოთხი!

— ხუთი!

სიგარის პატრონი მიდის მაგიდასთან და ფულებს ჰკრებს ქუდში. გაჭრობა კარგა ხანს გრძელდება. საზოგადოება ადტაცებულია, ბოლოს ერთ გროშად ღირებული სიგარა გაიყიდება ორ ან სამ გულდენად. ამ ფულებს ყრიან განსაკუთრებულ კოლოფში, რომელზედაც აწერია **„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისთვის"**.

ამ გვარი კოლოფები ათასობით გაკეთებულია სხვა და სხვა საზოგადო და სავაჭრო დაწესებულებაში ჩეხიასა, მორავიასა და სილეზიაში

„მატიცას" წევრების ხვედრი ფულის გარდა რამდენიმე ათასობით შემოდის შემოწირულებანი.

ზოგიერთ ჩეხელს ფულის მოკრეფა „მატიცის" სასარგებლოდ რაღაც მანიად აქვს გადაქცეული. მოსწავლენიც დიდის ხალისით აგროვებენ ფულს ზოგი მათგანი საუზმის ფულს „მატიცას" სწირავს და თვითონ კი მშიერი რჩება.—

„ჩეხელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" იმდენად გაძლიერებულა და ისე მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრებულა, რომ თვით ავსტრიელები ამბობენ: „ვედარას გავაწყობთ მის წინაღმდეგაო." *)

ბედნიერი ხარ ჩეხელების სამშობლოვ, შენი ღრმა ჭრილობები ნახევრად მოშუშებული და განკურნებულია შენი ერთგული და შეგნებული შვილებისაგან.

მწამს, რომ გვიან იქნება, თუ ადრე დიდებულად მიაღწევ შენი დიდი ხნის სასურველ დიად მიზანს...

ვინატროთ, რომ ჩვე'ც, ქართველებსაც დაუყოვნებლივ გადმოგვეღოს ჩეხელების მაგალითი და ჩვენც ისე აგვევავებინოს ჩვენი წ.—კ. გამ. საზ., ჩვენი „მატიცა", როგორაც იმათ.

„28 ენკენისთვეს ჩეხიაში დღესასწაულობენ ჩეხიის მფარველის წმ. ვაცლავის მიცვალებას ამ დღეს მთელს ჩეხიაში ჰკრეფენ შეწირულებას, ეგრედ წოდებულს „წმინდა ვაცლავის წყალობა მატიცას." **)

ჩვენ ვიდღესასწაულოთ რვა ენკენისთვეს'

---

*; იხ მოწოდება სწავლა—განათლებისათვის. ჩეხიის წ.—კ. გამ საზ. „მატიცას" გვ მე—8 თბილისის" ქალთა წრის გამოცემა.

**) იქვე.

საქართველოს მფარველ ღვთისმშობლის დაბადების დღე.

ეს დღე საეკლესიო დღესასწაულის გარდა, იქნება ჩვენი ეროვნული დღესასწაულიც ამ დღეს, როგორც ჩეხიაში, ჩვენშიაც მოიკრიბება შეწირულება მთელს საქართველოში წ.—კ. საზ. სასარგებლოდ.—

ამითი ჩაეყრება საძირკველი ჩვენ ეროვნულ გათვითცნობიერებას.

**ანნა ვართაგავა**

# ქართული სახიობა

**ვალ. გუნიამ** კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ მარჯვე კაცია, თაოსანი და თვითმომქედი, „სახაზინო თეატრში“ უკვე ორი იაფ ფასიანი წარმოდგენა გამართა—პირველად „ღალატი“, მეორედ „სამშობლო“. ამავე პიესას იმეორებენ ხვალ სახალხო სახლში, ორივე წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო. სასურველია დამსახურებულმა მსახიობმა თავის დასის ძალა მარტო ასეთ პიესზე არ დახარჯოს: საჭიროა რეპერტუარის გამრავალფეროვნება. **გულია**

**მსახ. ალ. შანშიაშვილმა** დიდი გამბედაობა გამოიჩინა სცენაზე და ეს ერთი ხანია, რაც ფრიად საპასუხისმგებლო როლებში გამოდის. ასეთი გამბედაობა ერთის მხრივ თუ მოსაწონია, მეორივ არა: ურიელ აკოსტას განსახიერებისათვის მარტო სურვილი არა კმარა... „ურიელ აკოსტა“ სახ. სახლში კვირას ნაშუადღევს წარმოადგინა. ახალგაზდა მსახიობს თითქო მძიმე ტვირთი დასწოლია, ხვნეშის და ვერ აუწევიაო, ასეთ მდგომარეობაში იყო. საერთოდ პიესაც სუსტობდა დადგმის მხრით: არც შეთანხმება, არც სტილის დაცვა... ერთადერთი სცენა იყო ცოტა შესაფერი—მეოთხე მოქმედება, სადაც ვ. გუნია (ბენაკიბა), ივანიძე (დე სილვა), მ. სარაული (დე-სანეტოს) და თვით ა შანშიაშვილი (ურიელი) შეიყარნენ... განსაკუთრებით საუცხოვონი იყვნენ ვ. გუნია და მ. სარაული, ნიჭიერი სცენისმოყვარე ქალი ვ. მარგველაშვილი მეტის მეტად ნორჩი აღმოჩნდა ივდითისათვის.

ეს პიესა იმავე დღეს წარმოადგინეს ავლაბრის სახალხო თეატრში ვ. მარგველაშვილის სასარგებლოდ იმავე ალ. შანშიაშვილის მონაწილეობით, გაცილებით უკეთესად. **უსავანო**

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ** მ. ქორელის რეჟისორობით სახალხო სახლში ორშაბათს, 30 მარტს წარმოადგინა „კაი გრაკხი“. წარმოდგენას ნაჩქარეობა ეტყობოდა. მიუხედავად ამისა, წარმოდგენამ სათანადოდ ჩაიარა: მშვენიერი შესაფერი კორნელია იყო ეფ. მესხი, ლუცი—ა. იმედაშვილი, კაი გრაკხი—ი. ზარდალიშვილი, ლიცინია—ა. ქიქოძე და მარკ ფულვი—პ. კორიშელი. გვარიანი იყო ლივი დრუზი გომელაური. სალიანგო სცენები მოისუსტებდა.

შემდეგი წარმოდგენა—„მედია“ გაიმართება ოთხშაბათს. **—ერი**

**გალაჯარაში** პარასკევს 13 მარტს აქაურმა სცენის მოყვარეთა ჯგუფმა ბ. ა პავლიაშვილის რეჟისორობით და ბ. მატარაძის მონაწილეობით, წარმოადგინა „და-ძმა“ ვ. გუნიასი. პიესამ კარგად ჩაიარა, თუმცა იყო ნაკლებულობა, როგორც როლების ასრულებაში, ისე სცენის მოწყობილობაში. სცენა ძალიან ღარიბია დეკორაციებით და მოწყობილობით - ისე რომ ძალიან ძნელია ამ გვარი პიესების დადგმა. მოთამაშეთა შორის ირჩეოდნენ ბ. ბ. გ. მატარაძე (ოტია), ა. პავლიაშვილი (გაიოზი), პ. მაჩაბელი ფაშა), კასრაძე (ადამია), ქ ქ. ნ. ცალქალამანიძე და ნ. მაჩაბელი (მარინე და გადია), რომლებსაც ეტყობოდათ როლის ზეპირად ცოდნა და მოხდენილი თამაში.

წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო, თუმცა ამინდი ხელს არ უწყობდა—წვიმდა.

საჭიროა გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქციოს წესრიგის დაცვას პარტერში. **სკამი № 5**

**დ. ლანჩხუთის** თეატრში 8 მარტს მსახიობ ა. ჯაყელის რეჟისორობით წარმოადგინეს 1) „ადამ და ევა“ კომ. 2 მოქ. და 2) „ორი მშიერი“ ვოდ. 1 მოქ.

„ადამ და ევაში“ საშუალოდ შეასრულა ქ-ნმა რ არაქელოვამ მოუთმენარი ცნობის-მოყვარე დედაკაცის (თამარიკას) როლი, არა უშავდათ ბ. ჯაყელს (ივანიკა) და ბ. კ. ყლენტს (ახირებულაძე). ვოდევილმა „ორი მშიერი“ სუსტად ჩაიარა.

ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო. მიზეზი აშკარაა: გაქრა ის დრო, როდესაც ხალხს კომედიები და ზღაპრები აკმაყოფილებდა. მიეცით ხალხს იაფ ფასიანი შინაარსიანი წარმოდგენები, მეტი ყურადღება მიაქციეთ სახალხო წარმოდგენების მართვას, ეცადეთ შეაერთოთ ხალხი და სცენა, შეაგნებინეთ ხალხს, რომ თეატრი სკოლაა, სცენა—ხელოვნების ტაძარი და გულწრფელად ემსახურეთ სამშობლო სცენას, თორემ სიყვარულის მაგიერ სიძულვილსა და სიმშილს დაიმსახურებთ. **„ალიონი**

# წვრილი ამბები

**სახალხო სახლში** წარმოდგენილი იქნება წრის მიერ დღეს „მეეტლე ჰენშელი“, ხვალ ვ. გუნიას მიერ „სამშობლო“, ოთხშაბათს ამხანაგობის მიერ „მედეა“ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით.

**დავით ის. ასათიანი** ჩვენი ხალხის საუკეთესო მომავლის ერთი დაუცხრომელი, ჩუმი, მაგრამ ფრიად სასარგებლო და თავგამოდებული მუშაკი, უბედური შემთხვევით მოკლულ იქმნა.

**კოტე მესხის ბიუსტი** გააკეთა ახალგაზდა მსახიობ-მხატვარ-მოქანდაკემ, მ. ჭიაურელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ **ახალგაზდა მსახიობ-მხატვარი** მ. ჭიაურელი საქანდაკო სახელოსნოს, ოტელიეს მოწყობას აპირებს, რომ უფრო ბეჯითად დაიწყოს მქანდაკობა. სახსრის საშოვრად 9 აპრილს სახალხო სახლში გამართავს წარმოდგენას („მელანიას ოინები", „პირიმზე)".

◆ **ცნობილი მხატვარი მ. თოიძე** ამ მოკლე ხანში გამართავს საკუთარ ნახატების გამოჩენას, გამოფენილი იქნება ბევრი ახალი ნახატი, რომელთ შესაქმნელად მხატვარი კარგა ხანია მუშაობდა და მუშაობს.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას** გადაუწყვეტნია ცალკე წიგნად გამოსცეს აკაკის ბიოგრაფია, მის დილაზე წარმოთქმულ სიტყვებითურ, იმ თანხით რომელიც 25 მარტს გამართულ დილაზე დარჩა.

◆ **აკაკის ბიოგრაფიის** დაწერვა მიენდო ახალგაზდა მწერალ-კრიტიკოსს დ. კასრაძეს.

◆ **სათეატრო მუზეუმისთვის** მათე იანქოშვილმა გადმოგვცა 1886 წ. 26 ქრისტეშობისთვეს ლ. აღნიაშვილის „ქართულ ხოროს" მიერ გამართულ კონცერტის პროგრამა (ატლასზე დაბეჭდული).

◆ **მხატვრობისა და ხელოვნების მოყვარულთა** დარბაზში გასულ კვირას ნახატების აუქციონი იყო დანიშნული. დარბაზში გამოფენილი იყო, სხვათა შორის, ჩვენის მხატვრის მოსე თოიძის ეტიუდები, მისი მოწაფის გუდიაშვილის ნახატები და სხ. მხატვარ მ. თოიძის ნახატების უმეტესობა თუმცა დასრულებული არ არის, მაგრამ მათშიაც სჩანს თვით შემოქმედი, თავისებური, თავისუფალი ხელოვნის ხელი. ყალამი მხატვრისა თვალ-მჭრელია, მეტყველი და სიცხოველით მოსილი.

◆ **პირველად თელავში სასულიერო კონცერტს** გამართავს წ. კ. ს თელავის განყოფილებასთან არსებულ მგალობელთა გუნდი კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით 5 აპრილს.

◆ **ნინო ჩხეიძე საგასტროლოდ** ქუთაისს ეწვია 4 და 5 აპრილისათვის („მამულ-დედული" და „ივდითი").

◆ **თელავში წარმოდგენების გამართვა** შეიძლება მხოლოდ საზოგადო საკრებულოში, სადაც სცენის გარდა არაფერი მოიპოვება და დიდ გასაჭირშია ვინც საღამოებსა ჰმართავს. კარგი იქნება კლუბის მესვეურთ სკამები მაინც შეიძინონ.

**მსახიობი კ. მაჭარაძე,** რომელიც უბრალო ჯარისკაცად იყო გაგზავნილი გერმანიის საზღვრებისკენ (ახლა ოფიცრობა მიუღია), კარგად არის და ყველა ნაცნობ-მეგობრებს „ულოცავს ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას!"

◆ **გარდაიცვალა** ბალაჯრის სცენის მოყვარე ლადო დარახველიძე, რომელიც ნიჭიერ სცენის მოყვარედ ირიცხებოდა. ღარიბად ცხოვრობდა. დაკრძალულ იქმნა ამხანაგ-მეგობართა შორის შეგროვილ ფულით.

◆ **ქუთაისის მსახ. ამხანაგობამ** დასში მოიწვია მსახიობნი ქ—ნი ო. ღოღობერიძის-ასული ბ.ბ. ბარველი ი. და არაბიძე ვ

◆ **ნებართვის ასაღებად** გადაეცა ცენზურას სობოლჩიკოვ-სამარინის ახალი პიესა **„იუდას მემკვიდრე"**, რომელსაც ქუთაისის ამხანაგობის დასი დასდგავს. ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და შეიკერება ახალი ტანისამოსი.

◆ **დ ხაშურის ქართ. დრამ. წრემ** 24 მარტს სადღესასწაულოდ წარმოადგინა: „გაბატონებული მსახური" კომ. 1 მ. ვ. აბაშიძისა და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია" კომ. 1 მოქ. სუნდუკიანცისა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო. ამ მოკლე ხანში იმართება აკაკის სალიტერატურო საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი მოხმარდება აკაკის მიერ ნაანდერძევ ფონდს.

◆ **ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრესთან** დაარსდა: 1) ქართული მომღერალ-მგალობელ ქალ ვაჟთა გუნდი და 2) მემუსიკეთა გუნდი. გუნდისა და ორკესტრის გასაძლიერებლად იწვევენ ყველა მსურველს. პირობების შესატყობად და ჩასაწერად მიჰმართონ გუნდის ლოტბარს ბ. შაქრო ხატიაშვილს (მთავარ ანგელოსის სამრევლო სკოლა, საღამ 4—7 საათამდე) 2) ორკესტრის ხელმძღვანელს (კაპელმეისტერს) ბ. ნიკო ლაბაძეს (ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში), და 3) ორკესტრის და გუნდის დამაარსებელს ბ. თომა ნასიძეს (შემახის ქუჩა № 5, თბილისის პოლკის კაზარმების გვერდით, კახეთის ქუჩა).

◆ **„ხმა კახეთის" რედ-გამომცემელი კ. ტყავაძე,** რომელიც სამართალში იყო მიცემული 129 მუხლის ძალით, სამოსამ. პალატამ გაამართლა. იცავდა ნაფიცი ვექილი ოსიკო ბარათაშვილი.

◆ **დაზარალებულ აჭარელთა სასარგებლოდ** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 642 მან. ფული უკვე გროვდება და ყველა გულშემატკივარმა თავისი წვლილი უნდა გაგზავნოს ქართ. საქველ. მოქმ. საზ—ის ხაზინადრის ვ. რ. ყიფიანის სახელზე, თბილისში სასოფ.-სამ. ბანკში.

## წერილი რედაქციის მიმართ.

დიდათ პატივცემულო ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი ჟურნალის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო მსახიობ იუზა ზარდალიშვილს, რომელმაც თავის ხარჯით გამოუწერა თქვენი პატივცემული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" საბუის არჩილ ჯორჯაძის სახელობის სამკითხველოს.

პატივისცემით სამკითხველოს გამგე

**იოსებ ჯორჯაძე**

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

წელიწადი მესამე

# მიიღებ ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.

## „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშე**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., სალამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში — ალ. **ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნი სავაჭროში **ს. ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 გვ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4 ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

**1 თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის**

**ახალი გაზეთი**

## „სამშობლო“

ფასი: ერთი წლითი წლით 8 მან. ნახევარწლით 5 მან. თვით 80 კ. ცალკე ნომერი 5 კ. დამატებიანი — 7 კ. ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს წერილები და ფული იგზავნოს შემდეგის მისამართით: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“** თბილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა. გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, **დამატების** გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებათა და საზოგადო მოღვაწეთ გვიგზავნონ სურათები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე**

---

22 დეკემბრიდან გამოდის **„ჩვენი დროების“** მაგივრად

## „შადრევანი“

გაზეთი ღირს წლიურად 2 მ. 50 კ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს:** Тифлисъ, типографія „Сорапань“ Александру Георгіевичу Мумладзе

---

**ვასრულებ** ორიგინალურ და თარგმნილი **ხელნაწერების გასწორება-გადაწერას, კორექტურას და გამოცემის საქმეს. მისამართი:** პერიოდულ გამოცემათა ცენტრალური კანტორა „განთიადი“, თბილისი, მიხეილის პროსპექტი **№ 18.**





ხელმეორედ დაიბეჭდა და იყიდება

სურათი

## საქართველოს მნათობნი

შოთა, აკაკი და ილია

ფასი: 50 კ. ვინც ოც ცალს ერთად დაიკვეთს, 20% დაეთმობა. მისამართი: თბილისი, ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიაში. (5—5)

## ნომრები „ავრორა"

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზვარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)


პირველი მარტიდან წლის დამლევამდე

ჟურნალი ჰღირს 4 მ.


ჟურნალი

## „თეატრი და ცხოვრება"

გასასყიდათ თბილისსა და პროვინციაში გადაეცა ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ კანტორა

## „განთიადი"-ს

გიორგი მაქ. მახარაძეს

მიხეილის პროსპექტი, № 18 ფოსტის ყუთი № 21. ყველა გამყიდველთ თბილისისა და პროვინციისასა მას უნდა მიმართონ.

ამ დღეებში პეტროგრადში რუსულ ენაზე გამოვიდა

## აკაკის სამახსოვრო კრებული

გამოცემა დ. ქიაბრიშვილისა, ფ. 50 კ. შემოსავალი გადაეცემა აკაკის სახელობის ფონდს საწყობი პეტროგრადში, ვლადიმირის პრ. 10—26 არამიძესთან. (5—4)



ЦЕНТРАЛЬНАЯ КОНТОРА „ГАНТІАДИ" ТИФЛИСЪ Михайловскій пр. 18. ПЕРІОДИЧЕСКИХЪ ИЗДАНІЙ



Типографія „Сорапанъ" სტამბა „სორაპანი"